საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №543

ქ. თბილისი, 2007 წ. 25 07

საქართველოს საჯარო სკოლების დირექტორთა რეგისტრაციის თაობაზე

"ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 42-ე მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის "ჰ" ქვეპუნქტისა და შესაბამისი სამეურვეო საბჭოების მიერ დირექტორთა არჩევის თაობაზე დადგენილ ების წარდგინების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. რეგისტრირებულ იქნას დანართი №1-ში ჩამოთვლილი პირები შესაბამისი საჯარო სკოლების დირექტორებად.
2. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების დაუყოვნებლივ გამოქვეყნება სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
3. დაევალოს ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების დაუყოვნებლივ გამოქვეყნება გაზეთ "24 საათში".
4. დაევალოს რეგიონული კოორდინაციის დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების ასლების მიწოდება შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსცენტრებისათვის, ხოლო ამ უკანასკნელთ - დაინტერესებული პირებისათვის კანონით დადგენილი წესით მათი გაცნობა.

მ ი ნ ი ს ტ რ ი — ალექსანდრე ლომაია